



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: **ბ68.682209712**

თარიღი: **07/04/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით ფორმით გაცემის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, და 122-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის მიზნით დანართი N 1- ის შესაბამისად.

2. განისაზღვროს:

ა) წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა ქონების სარგებლობაში გადაცემის (საიჯარო) საწყისი წლიური ქირის 10%.

ბ) „ბიჯი“-ქონების სარგებლობაში გადაცემის (საიჯარო) საწყისი წლიური ქირის 10% .

3. აუქციონი გაიმართოს 2022 წლის 11 აპრილს 16 საათზე და დასრულდეს 2022 წლის 18 აპრილს 16 საათზე.

4. ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: WWW.esuction.ge.

5. ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე: WWW.kharagauli.ge და მუნიციპალიტეტის ა(ა). ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის გაზეთ „ახალ ხარაგაულში“ .

6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის.: ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

